ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3641778

ნომერი: AR1537063

თარიღი : 06.09.2017

გაცემის თარიღი : 30.10.2017

გაცნობის თარიღი : 30.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ ბაზერაშვილი პ/ნ 01030003358
- გორგასლის ქ.#7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 06 სექტემბრის AR1537063 განცხადება, რომელშიც ითხოვთ N01.18.04.001.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ რადგან არსებული მდგომარეობით შენობა განთავსებულია სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) -ის მოქმედების არეალში, თავდაპირველად უნდა მოითხოვოთ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში მშენებლობას არ ითვალისწინებს. მხოლოდ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სამსახურმა განიხილოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი. საკითხის განსახილველად განაცხადი უნდა ატვირთოთ TAS.GE - ელექტრონული განაცხადები-> ქალაქგეგმარება->ფუნქციური ზონის ცვლილება. ცვლილება უნდა მოითხოვოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრის შესაბამისის ფორმით დამოწმებული თანხმობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 06 სექტემბრის AR1537063 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.